ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13233592**
თარიღი:**25/12/2023**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ ახალციხეში, პაატა ნათენაძის ქუჩა N20-ში მდებარე 8573 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს.კ. 62.09.58.539) 30 კვ.მ. ფართი, განკარგოს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით. 30 კვ.მ. ფართის საწყისი წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 1100 (ათას ასი) ლარის ოდენობით, შპს ,,საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი"-ს 2023 წლის 06 დეკემბრის N553 აუდიტორული დასკვნის თანახმად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი